ლენინგრადის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. კოჩკინი „საპატიო ნიშნის" ორდენს გადასცემს სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნ. კუჩინსკაიას. ცნობილი ტანმოვარჯიშე დაჯილდოვდა XIX ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით გამოსვლისთვის და მაღალი სპორტული მიღწევებისთვის.

ფოტო ი. წარანოვისა (საქტეს).

დღეს სტარტია

გუშინ თბილისში, პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში, საზეიმოდ გაიხსნა ვ. გოგლიძის მემორიალი — დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

ტურნირში 16 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის არიან სახელგანთქმული დიდოსტატები მ. ტალი, დ. ბრონშტეინი, ა. სუეტინი, რ. ხოლმოვი, ლ. შამკოვიჩი, ა. ლეინი, ე. გუფელდი (ყველა — სსრ კავშირი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), საერთაშორისო ოსტატები ვ. ჩოკილტეა (რუმინეთი), ე. კოსტრო (პოლონეთი), ე. ჰააგე (უნგრეთი), ბ. გურგენიძე (სსრ კავშირი), ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი (სსრ კავშირი), ს. სპირიდონოვი (ბულგარეთი) და სხვ.

საზეიმო ცერემონიალზე ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა ქართული ჭადრაკის მოჭირნახულის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის მისამართით, რომლის ხსოვნასაც ეძღვნება ეს ტურნირი.

შედგა კენჭისყრა. დღეს რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება I ტური. თამაშის დასაწყისი — 16 საათსა და 30 წუთზე.

ვ. გოგლიძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 245 (3984)
1969 წ. 17 დეკემბერი. ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

წლეულსაც!

ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წლეულსაც ნაყოფიერად იმუშავეს. ამან „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს საშუალება მისცა ვადამდე და გადაჭარბებით გაენაღდებინა სპორტის ოსტატების, თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების, აგრეთვე, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმა ვალდებულებანი: 10 დეკემბრისთვის 14-ის ნაცვლად მოვამზადეთ 17 სპორტის ოსტატი, 149 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის მაგიერ — 170. სხვა თანრიგების ნორმატივები 3900 სპორტსმენის მაგიერ 4150 კაცმა შეასრულა.

გადაჭარბებით გავანაღდეთ, აგრეთვე, იმშო, მშო და „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსების ნიშნოსანთა, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმები.

თ. კაპანაძე,
„ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

● ბოტევგრადი, 15 დეკემბერი. მაგიდის ჩოგბურთში აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება, ფაქტიურად, ბულგარეთის ღია ჩემპიონატი იყო. საბჭოთა სპორტსმენთაგან უპრიზოდ არავინ დარჩენილა. ქალთა ერთეულების თანრიგში ყველას აჯობა ს. გრინბერგმა, რომელმაც ფინალში დამაჯერებლად სძლია გდრ-ის წარმომადგენელს დ. ჰოვეშტადტს — 3:1. ვაჟთა შორისაც მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატმა იმარჯვა: გადამწყვეტ მატჩში რიგელმა უ. ეგლიტისმა დაამარცხა პოლონელი ვოზნიცა. III ადგილი დაიკავა ერევნელმა გ. ვარდანიანმა. ქალთა დუეტებში გრინბერგმა და პოლონელმა დ. ცალინსკამ აჯობეს ყველას — ფინალში მასპინძელთა წყვილი (ა. რანგელოვა და ე. ნეიკოვა) დაამარცხეს — 3:1. შერეულ წყვილებში საუკეთესონი იყვნენ ეგლიტისი და ჰოვეშტადტი, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს ერმანსა და კოკოსოვას დააყრევინეს ფარ-ხმალი — 3:2. ვაჟთა წყვილებში პოლონელებმა ვოზნიცამ და დომიჩმა იმარჯვეს: ფინალში მათ სძლიეს ეგლიტის — ვარდანიანის დუეტს — 3:1.

მოკლე ამბები

აღარ ზრუნავენ

ბათუმის სტენდზე ორ დღეს გაგრძელდა მონკავშირის რესპუბლიკური შეჯიბრება კონსტიტუციის თასზე. სარბიელზე გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, მახარაძის კოლექტივები.

როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე შეჯიბრების დროს სპორტსმენებმა 50-50 სამიზნე მიიღეს, ხოლო უძლიერესებმა ფინალში კიდევ ამდენივე დაიმატეს. როგორც წესი, ამგვარ ტურნირებში გუნდურში საუკეთესონი 100-100 სამიზნის მიღების შემდეგ ელინდებიან, მაგრამ იმის გამო, რომ ბათუმის სტენდი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს (აქ ორ-ორის ნაცვლად, თითო სასროლეთია), პროგრამა შეიკვეცა.

ადგილიდან სროლაში თავიდანვე დაწინაურდნენ თბილისელი გ. მეფარიშვილი, ქუთაისელი შ. გულაძე და ზუგდიდელი გ. დარასელია, რომლებმაც 25-დან მხოლოდ თითო სამიზნეს ააცდინეს. მეორე სერიიდან მდგომარეობა გამოასწორა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარმა აგრონომმა, სპორტის ოსტატმა ა. ოვსეპიანმა. 60 წელს გადაცილებულმა კაცმა პირველ სერიაში 19 სამიზნე დაამსხვრია, მეორეში — 24, და ფინალში გავიდა.

ფინალში ოვსეპიანზე უკეთესი მაჩვენებლებით გამოვიდნენ ვ. წიფურია (ზუგდიდი), მეფარიშვილი, თ. იმნაიშვილი (თბილისი), გულაძე. აქ ოვსეპიანმა 50 შესაძლებლიდან კიდევ 49 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ 92 ქულით გაინაღდა პირველობა. II ადგილზე გავიდა წიფურია — 91. მეფარიშვილმა და გ. ბორჩხაძემ (მახარაძე) 100-დან 90-90 ქულა მოაგროვეს. ამიტომ მესამე პრიზიორის გამოსავლენად მათ შორის დამატებითი სერია დაინიშნა, რამაც უპირატესობა მეფარიშვილს მოუტანა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას თბილისელებმა აჯობეს: აქაურმა კვარტეტმა 200 შესაძლებლიდან 175 ქულა დააგროვა. II ადგილზეა მახარაძის გუნდი — 160, III — აფხაზეთის კოლექტივი — 158.

მრგვალ სტენდზე სროლაში ბადალი არ ჰყავდა თ. მატოიანს (თბილისი), რომელსაც მხოლოდ მეორე სერიაში ერთხელ მოეცარა ხელი და საბოლოოდ 100-დან 99 ქულა დააგროვა. მან 10 ქულით აჯობა ნ. ბერიძეს (აჭარა). III ადგილი წილად ხვდა რ. აჟიბას (აფხაზეთი) — 88.

თავიდან II ადგილზე გასვლის ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა თბილისელ ნ. ჯანაშიას, რომელმაც 50 შესაძლებლიდან 46 ქულა აჩვენა, მაგრამ ფინალში 10 ქულა დაკარგა და საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა.

გუნდურ ჩათვლაში აქაც თბილისის კოლექტივმა იმარჯვა — 177. II ადგილზე გასული აფხაზეთის კვარტეტი გამარჯვებულს 12 ქულით ჩამორჩა. მასპინძლებმა III ადგილი დაისაკუთრეს — 159.

ორივე ვარჯიშის ჯამში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირის მონაწილე 50-მდე სპორტსმენიდან დამაკმაყოფილებელი შედეგი მხოლოდ რამდენიმემ აჩვენა. სხვები უთანაბროდ გამოვიდნენ. ეს ფაქტი მოწმობს, რომ რესპუბლიკის მონკავშირის ორგანიზაციებში ბოლო წლებში ძველებურად აღარ ზრუნავენ მესტენდურეთა აღზრდისთვის. სპორტის ოსტატებიც კი, რომლებიც ერთ ხანს საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ, ახლა მეორეთანრიგოსანთა დონეზე ასპარეზობენ.

ნ. ჯანაშია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

„ტრუდის" პრიზის მფლობელი გაირკვა

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ 1958 წლიდან მოყოლებული სსრ კავშირის ყოველი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ღებულობს გაზეთ „ტრუდის" სპეციალურ პრიზს.

წლევანდელი ჩემპიონატის წინასწარ და ფინალურ ტურნირებში ნ. ოსიანინმა („სპარტაკი", მოსკოვი), ჯ. ხერხაძემ („ტორპედო", ქუთაისი) და ვ. პროსკურინმა (ასკ, როსტოვი) გაიტანეს ბურთების თანაბარი რაოდენობა — 16-16.

„ტრუდის" სარედაქციო კოლეგიამ ანალიზი გაუკეთა ჩემპიონატის შედეგებს და გადაწყვიტა პრიზი გადასცეს 28 წლის სპარტაკელ სპორტის ოსტატ ნ. ოსიანინს. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ნ. ოსიანინი შედის სსრ კავშირის ჩემპიონის შემადგენლობაში, გაიტანა გოლები კიევის „დინამოსთან", ცსკა-სთან და მოსკოვის „დინამოსთან", რომლებმაც ფაქტიურად გადაწყვიტეს „სპარტაკის" გამარჯვების საქმე. ამას გარდა, იგი გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

* * *

15 დეკემბერს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში მოეწყო ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონების — მოსკოვის სპარტაკელთა დაჯილდოება. გუნდს გადაეცა ჩემპიონის გარდამავალი პრიზი, ვიმპელი და დიპლომი, მოთამაშეები დაჯილდოვდნენ ოქროს მედლებით, დიპლომებითა და ვიმპელებით.

სსრ კავშირის ნაკრებში 20 მატჩის ჩატარებისთვის სამახსოვრო მედალი გადაეცა სპარტაკელთა მეკარეს ა. კავაზაშვილს.

იამზე ტყაბლაძე — მეოთხედ!

საქართველოს მოშაშე ქალთა ჩემპიონატის XII ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერთა შეხვედრები. ი. ტყაბლაძისა (ქუთაისი) და თ. გამხიტაშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა. ენერგიულად ითამაშა ლ. ზოლოტუხინამ, რომელმაც დაამარცხა თბილისის ჩემპიონი ე. შედოვა. ე. ფუხაშვილს (გარდაბანი) გამარჯვება მიეკუთვნა, რადგან მისი მეტოქე ი. კაპცოვა (რუსთავი) სათამაშოდ არ გამოცხადდა.

მ. მღებრიშვილმა (ფოთი) მოუგო ს. გიჯაშვილს (გარდაბანი), რითაც ამ უკანასკნელმა I ადგილისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა.

ე. ბეროზაშვილმა სძლია ნ. ცნობილაძეს (გორი), ლ. ბარამაშვილმა — ლ. მინაკოვას და ი. ტიტვინიძემ — ი. კიანკოს.

დასკვნითი, XIII ტურის წინ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება, რომელშიც ფუხაშვილმა კიდევ 1,5 ქულა მიიღო — მოუგო შედოვას და ყაიმზე შეუთანხმდა ტყაბლაძეს.

XIII ტურში ტყაბლაძემ მოუგო მინაკოვას, გამხიტაშვილმა — შედოვას, ზოლოტუხინამ — კაპცოვას, ბარამაშვილმა — ცნობილაძეს, ბეროზაშვილმა — კიანკოს, ტიტვინიძემ — მღებრიშვილს. ყაიმით დასრულდა ფუხაშვილისა და გიჯაშვილის შეხვედრა.

ჩემპიონატი დამთავრდა. გაგაცნობთ საბოლოო შედეგებს:

I. ი. ტყაბლაძე — 10,5 ქულა, II. ლ. ზოლოტუხინა — 10, III. თ. გამხიტაშვილი — 10, IV. ე. ფუხაშვილი — 10 (ადგილები განაწილდა კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით), V. ს. გიჯაშვილი — 9, VI. ე. შედოვა — 7,5, VII-VIII. ე. ბეროზაშვილი, ლ. ბარამაშვილი — 7-7, IX. ი. ტიტვინიძე — 5,5, X. მ. მღებრიშვილი — 4,5, XI. ლ. მინაკოვა — 4, XII. ი. კაპცოვა — 3,5, XIII. ნ. ცნობილაძე — 2,5, XIV. ი. კიანკო — 0.

ამრიგად, ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტი იამზე ტყაბლაძე კვლავ, უკვე მეოთხედ გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. იგი თავიდან ბოლომდე ლიდერობდა, თუმცა ფინიშზე ზოლოტუხინასთან დამარცხდა. ჩემპიონმა ყველაზე მეტი — 9 პარტია მოიგო.

შესანიშნავად ითამაშეს ზოლოტუხინამ, გამხიტაშვილმა, ფუხაშვილმა და გიჯაშვილმა. თბილისის პიონერთა სასახლის აღსაზრდელი გამხიტაშვილი ტურნირის ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე აღმოჩნდა: მან 7 პარტია მოიგო და 6 ყაიმით დაამთავრა. ზოლოტუხინამ და ფუხაშვილმა 8-8 პარტია მოიგეს, ხოლო გიჯაშვილმა — 7.

სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში სათამაშოდ გაემგზავრებიან ტყაბლაძე და ზოლოტუხინა.

წარუმატებელი ფინიშის გამო (ზედიზედ 3 წაგება) თბილისის ჩემპიონი შედოვა მოკრძალებულ ადგილზე გავიდა. მეტი იყო მოსალოდნელი ე. ბეროზაშვილისა და ლ. ბარამაშვილისაგან.

ჩემპიონატის მთავარი მიღწევაა ახალგაზრდობის წარმატება. საჭიროა, რომ შაშის ფედერაცია მეტს ზრუნავდეს ამ ახალგაზრდებისთვის სხვა დიდი ტურნირების გამართვაზე.

თ. ნინოშვილი.



მთელი ხმით

სპეციალისტებს ეს სამი ნიჭიერი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ადრეც შენიშნული ჰყავდათ, მაგრამ მათ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. გაიცანით:

ა. მალეევი. ვორონეჟის ი. შტუკმანის სკოლამ ბევრი სახელგანთქმული ტანმოვარჯიშე გაზარდა. 1969 წლის საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც დონის როსტოვში გაიმართა, ამობრწყინდა კიდევ ერთი ვარსკვლავი — მეათეკლასელი ლ. ბურდა. იგი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

ვაჟთა ტანვარჯიშში კი ვორონეჟელები ბევრით ვერაფრით დაიკვეხნიდნენ. მაგრამ აი, იქვე — დონის როსტოვში — მრავალჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 22 წლის ვორონეჟელმა სტუდენტმა ა. მალეევმა.

მალეევი რსფსრ-ს ჩემპიონია. ამ წლებში ახალგაზრდა სპორტსმენი იყოფს მეორე ცნობილ ტანმოვარჯიშე ვ. ლისიცკისთან ერთად. ახალი სავალდებულო პროგრამა, რომლითაც უკვე ტარდება შეჯიბრებები, ძალიან რთულია. საკავშირო ჩემპიონატში მან პირველ ექვსეულს ოლიმპიელი ვ. ილინიხიც კი გამოაკლო. მალეევი კი შედარებით იოლად გადაურჩა მას. მწვრთნელებმა ეს სპორტსმენი უყოყმანოდ შეიყვანეს ქვეყნის ნაკრებში, რომელიც იაპონელ ტანმოვარჯიშეებს უნდა შეხვედროდა. და ვორონეჟელ სტუდენტს თავი არ შეურცხვენია. მან მხოლოდ ე. კენმოცუს დაუთმო, რომელიც მეხიკოში მეოთხე იყო მრავალჭიდში.

ო. კორბუტი. იგი ჩინებულად გამოვიდა ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში — V ადგილი. სენსაციად იქცა კორბუტის გამარჯვება სსრ კავშირი — იაპონიის მატჩში. ეს 15 წლის გოგონა — VIII კლასის მოსწავლე — საკავშირო ჩემპიონატში გამონაკლისის სახით დაუშვეს და არც შემცდარან.

კორბუტი განსაკუთრებით კარგად გამოდის დგიორსა და ორძელზე. აქ მისი კომბინაციები რთულია, თამამი, სანახაობრივად მიმზიდველი. ცოტა თავისუფალ ვარჯიშსაც გააუმჯობესებს და, ოლია კორბუტის სახით ნაკრებს კიდევ ერთი ბრწყინვალე ტანმოვარჯიშე შეემატება.

თ. ლაზაკოვიჩი. ერთი წლის წინ „ტანმოვარჯიშე პრინცესას“ სახელი, რომელიც ახლა კორბუტმა დაისაკუთრა, მეორე ბელორუსიელ მოსწავლეს. ვიტებსკელი მწვრთნელის ვ. დმიტრიევის აღსაზრდელს, 16 წლის თამარ ლაზაკოვიჩს ეკუთვნოდა. წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში იგი არ გამოსულა, ლიუბლიანაში „ეჩვენა“ მსაჯებს, სადაც გაისად ოქტომბერში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. „ჩვენება“ უაღრესად შედეგიანი გამოდგა — ლაზაკოვიჩმა ყველა იარაღზე პირველობა მოიგო.

ვ. დვორცოვი.
(საქდესის კორ.).

* * *

სურათებზე: ო. კორბუტი ვარჯიშობს ორძელზე; ა. მალეევი რგოლებზე; გამოდის თ. ლაზაკოვიჩი.

ფოტო ვ. შანდრინისა (საქდესი).

70

სსრ კავშირის
XXXVII ჩემპიონატი

ყველაფერი სნაიპერებზე

გუშინწინ კაუნასში გაიმართა მორიგი ტურის მატჩი. ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ მიიღო გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი — რიგის ასკ. მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო — 86:63 (41:26).

ახლა კი გთავაზობთ ჩემპიონატის მონაწილე ყოველი გუნდის 3 საუკეთესო სნაიპერის სიას.

ცსკა — 6 მატჩის შემდეგ. ანდრეევი — 121 ქულა, ს. ბელოვი — 77, კაპრანოვი — 60.

„დინამო“ (თბილისი) — 5. მოსეშვილი — 64, უგრეხელიძე — 59, ა. ლეჟავა — 55.

„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 4. ბიკოვი — 78, ა. ბელოვი — 52, ფიოდოროვი — 48.

„კალევი“ (ტარტუ) — 4. ტიიმსოო — 64, ტამისტე — 58, სალუმეტსი — 50.

„სტროიტელი“ (კიევი) — 6. ვალტინი — 110, პოლივოდა — 106, ფილოზოფი — 78.

„ჟალგირისი“ (კაუნასი) — 5. პაულაუსკასი — 100, სარპალიუსი, ბუდნიკასი — 62-62.

„დინამო“ (მოსკოვი) — 5. პეტროვი — 102, სოკოლოვი — 68, ბოლოშევი — 65.

ასკ (კიევი) — 6. სალუხინი — 76, ნოვიკოვი — 73, პოგულიაი — 70.

ასკ (რიგა) — 5. ფრეიმანისი — 45, ბირზნიეკსი, სტრელისი — 44-44.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — 6. პულავსკი — 96, ბიჭიაშვილი — 73, მანაგაძე — 70.

„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — 6. კანდელი — 132, ბოლვაჩოვი — 107, ჩერნი — 53.

„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) — 6. პოზდნიაკოვი — 112, ნიკიშინი — 87, ვეისმანი — 81.

აი, როგორ გამოიყურება უძლიერეს სნაიპერთა ათეული:

	ქულა	თამაშის დრო	ჯარიმები
კანდელი („ურალმაში“)	132	216 წუთი	19
ანდრეევი (ცსკა)	121	184	11
პოზდნიაკოვი („ლოკომოტივი“)	112	194	26
ვალტინი („სტროიტელი“)	110	217	15
ბოლვაჩოვი („ურალმაში“)	107	181	23
პოლივოდა („სტროიტელი“)	106	180	22
პეტროვი („დინამო“, მოსკ.)	102	172	19
პაულაუსკასი („ჟალგირისი“)	100	150	19
პულავსკი („ბურევესტნიკი“)	96	194	26
ნიკიშინი („ლოკომოტივი“)	87	174	25

სურათზე: ცსკა-სა და „ურალმაშის“ შეხვედრის მომენტი.

ფოტო ზ. კუტირიოვისა („ტრუდი“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	7	6	1	609—514	6
„სტროიტელი“ (კიევი)	6	5	1	507—426	5
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	4	4	0	311—273	4
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	6	4	2	476—463	4
„კალევი“ (ტარტუ)	5	3	2	409—404	3
ასკ (კიევი)	7	3	4	546—518	3
„დინამო“ (მოსკოვი)	5	2	3	408—391	2
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	6	2	4	446—489	2
ასკ (რიგა)	6	2	4	436—476	2
„დინამო“ (თბილისი)	5	2	3	367—427	2
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	7	1	6	526—606	1
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	6	1	5	472—526	1

დაუმარცხებლად — მხოლოდ ჩემპიონები

ტალინსა და ალმა-ათაში გრძელდება ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი.

ტალინში გამართულმა მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „კალევი“ (ტალინი) — „რადიოტექნიკი“ (რიგა) 3:0, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (ხარკოვი) 3:0, „დინამო“ (ირკუტსკი) — ცსკა 3:1.

ალმა-ათაში შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი“ (კიევი) 3:2, ასკ (როსტოვი) — „ზვეზდა“ (ლუგანსკი) 3:1, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — „ბურევესტნიკი“ (ოდესა) 3:2.

ახლა ამ ქალაქებში 4 ტურის შემდეგ მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონები — ალმა-ათის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელები იბრძვიან დაუმარცხებლად. ალმა-ათაში მოასპარეზე გუნდებიდან 3 მოგება აქვს როსტოვის არმიელთა კოლექტივს, 2 მოგება — ლუგანსკის „ზვეზდას“, თითო — ოდესის „ბურევესტნიკს“, კიევის „ლოკომოტივსა“ და ბაქოელთა კოლექტივს.

ტალინში 3 ქულა მოაგროვეს „კალევის“ სპორტსმენებმა. 2-2 ქულა აქვთ „რადიოტექნიკს“, ხარკოვის „ბურევესტნიკს“, ირკუტსკის „დინამოსა“ და ცსკა-ს. 1 ქულა აქვს „ავტომობილისტს“.

კენჭისყრამ ინება

ლიუბლიანა, 15 დეკემბერი. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის III ჯგუფში სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მეტოქეები იქნებიან ურუგვაის, პანამისა და აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნის ნაკრები გუნდები. ასე ინება კენჭისყრამ, რომელიც აქ ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებისა და კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის უ. ჯონსის თანდასწრებით მოეწყო. პირველობის წინასწარ შეხვედრებს, რომლებიც იუგოსლავიაში 10-24 მაისს გაიმართება, სსრ კავშირის ნაკრები ქალაქ კარლოვაცში ჩაატარებს.

I ჯგუფში (სარაევო) იასპარეზებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრალიისა და კუბის ნაკრები გუნდები.

II ჯგუფში (სპლიტი) ერთმანეთს შეებრძოლებიან ბრაზილიის, კანადის, სამხრეთ კორეისა და იტალიის გუნდები.

შეჯიბრების ფინალურ ნაწილში, რომლის გამართვა ლიუბლიანაშია გათვალისწინებული, ითამაშებენ ყოველ ჯგუფში I-II ადგილებზე გასულნი და შეჯიბრების მასპინძლები — იუგოსლაველები. სწორედ ისინი გაითამაშებენ I-VII ადგილებს.

„უიდბლონი“ სკოპლეში გაიმართავენ დამამშვიდებელ ტურნირს VIII-XIII ადგილებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბ“ კლასის საჭირბოროტო

ეს უკვე მერამდენე წელია „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების სისტემა განუწყვეტლივ ცვლილებებს განიცდის. ყოველ ახალ სეზონში ზონებს ახლებურად აკომპლექტებენ, მონაწილენი ჯგუფიდან ჯგუფში გადაჰყავთ, სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებს ახალ და ახალ ზონებში უყრიან თავს, მაგრამ საბოლოო, ყველაზე მიზანშეწონილ ვარიანტს ჯერ ვერ იქნა და ვერ მიაგნეს. მთავრდება გათამაშება და არავინ იცის, როგორი იქნება ზონათა განაწილება შემდგომი წლისათვის.

უწინ, მაგალითად, საქართველოს გუნდები მოქცეული იყვნენ რსფსრ-ს ზონებში. შეჯიბრებას ხელმძღვანელობდა რსფსრ-ს ფედერაცია და, ბუნებრივია, მას ძირითადად აინტერესებდა თავისი გუნდები, მათი თამაში, იქაური ფეხბურთელები. ჩვენ გამოვდიოდით ხელოვნურად მიტმასნებულთა როლში.

წლეულს მდგომარეობა შედარებით გამოკეთდა. შეიქმნა ამიერკავკასიის ზონა, რომელმაც გააერთიანა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები. შეჯიბრების ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან შექმნილ საბჭოს. რა თქმა უნდა, გათამაშება უფრო ორგანიზებულად ჩატარდა, მის მსვლელობაში წამოჭრილი აქტუალური, სადავო საკითხები უფრო ოპერატიულად წყდებოდა, უფრო ქმედითი იყო კონტროლი მოთამაშეებზე, მსაჯობის ხარისხზე.

მაგრამ საპრობლემო საკითხი მაინც ბევრია. ჩემი აზრით, გუნდების რაოდენობა „ბ“ კლასში ხელოვნურადაა გაზრდილი. ზოგიერთი კოლექტივი თავისი მომზადების დონით, თამაშის კლასით აშკარად ჩამორჩება საკავშირო შეჯიბრების მასშტაბებს. ბევრგან არა ჰყავთ შესაფერისი კვალიფიკაციის ფეხბურთელები, ამიტომ იძულებული არიან ასეთები სხვაგან ეძიონ, თავისთან მიიწვიონ და პრივილეგირებულ პირობებში ამყოფონ ისინი.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ „ბ“ კლასში გუნდების დიდი რაოდენობით ჩარიცხვა ხელს უწყობს მასობრიობის ზრდას, მეტი ფეხბურთელის გამოყვანას შეჯიბრებებში... ეს არ იქნებოდა სწორი. მასობრივ ფეხბურთს თავისი ადგილი და მასშტაბები აქვს, ხოლო „ბ“ კლასის გუნდების ტურნირს, რამდენადაც ეს საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებაა, სულ სხვა, გაცილებით უფრო დიდი დიაპაზონი უნდა ჰქონდეს. ფეხბურთის მოყვარულებს ეხსომებათ, თუ როგორი კლასის, რა სიძლიერის გუნდები გამოდიოდნენ უწინ „ბ“ კლასში. არ შეიძლება ერთმანეთში ათქვიფო ძლიერი და სუსტი გუნდები, აურიო პერსპექტიული და უნიჭო ფეხბურთელები.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახლანდელ „ბ“ კლასში გაერთიანებულ ზოგიერთ გუნდს არა აქვს ხეირიანი სტადიონი მაყურებლებისთვის, ხოლო საწვრთნელ ბაზებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. „ბ“ კლასის ფეხბურთელს ისეთივე სავარჯიშო პირობები ესაჭიროება, როგორც უმაღლესი ლიგისას, ასეთი პირობები კი ჩვენში ძალიან იშვიათია. რუსთავს, ჭიათურას და ზოგიერთ სხვა ქალაქს აქვთ მეტად თუ ნაკლებად კეთილმოწყობილი ბაზები, უმეტესობა კი ძირითადად „კუსტარული“ სახის სავარჯიშო აღჭურვილობით ცდილობს გაართვას თავი ფეხბურთელის წვრთნის რთულ საკითხებს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მზადების ხარისხი სასურველზე გაცილებით უარესია.

კიდევ უფრო მწვავედ დგება ბაზების საკითხი, როცა შევეხებით მოსამზადებელი ჯგუფების საქმიანობას. „ბ“ კლასის გუნდებს მოსამზადებელი ჯგუფები განსაზღვრული ჰყავთ 50 ბავშვის რაოდენობით. ეს არც ისე პატარა რიცხვია, მაგრამ სად მეცადინეობენ ნორჩი ფეხბურთელები? ყველგან და არსად. ყველგან იმიტომ, რომ მიჩნეული ადგილი მათ არა აქვთ და სადაც მოახერხებენ, იქ ასწრებენ თამაშს ან ვარჯიშს; არსად იმიტომ, რომ წვრთნის ასეთი „მეთოდი“, ფაქტიურად, ფიქციას წარმოადგენს. ასე ფეხბურთელი, ხალასი ნიჭიც რომ იყოს, ვერ გაიზრდება.

როცა ვლაპარაკობთ „ბ“ კლასის გათამაშების ფორმულის რეორგანიზაციაზე, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ახლა ეს შეჯიბრება, არსებითად, წარმოადგენს ერთგვარ „შინაურულ“ ღონისძიებას, რომელსაც არა აქვს სათანადო მასშტაბის რეზონანსი. და ყველა დამეთანხმება, რომ წარმომადგენლობითაც და მონაწილეთა სიძლიერითაც ეს ტურნირი გაცილებით მეტ სოლიდურობისა და მასშტაბების ღირსია. ამის მიღწევა შეიძლება ზონების რაციონალური დაკომპლექტების გზით უფრო ძლიერი, მომზადებული გუნდების ხარჯზე.

ვინ არის ამჟამად „ბ“ კლასის ამიერკავკასიის ზონის საუკეთესო გუნდი? პასუხი უყოყმანოა: გორის „დილა“. უკვე მეორე წელია გორელი ფეხბურთელები I ადგილზე გადიან ზონაში, მათ შექმნეს საკუთარი ხელწერა, მატჩებს ატარებენ მაღალ დონეზე, ტაქტიკურად გამართულად. გუნდის მწვრთნელებმა — სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. ნორაკიძემ და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. გაბუნიამ შექმნეს ძლიერ ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული, მეგობრული კოლექტივი, რომელიც სტაბილურად, თანაბრად თამაშობს შინ და გარეთ. და რაც მთავარი და ძალიან სასიხარულოა: გუნდის წევრები, როგორც წესი, ადგილობრივი მკვიდრნი არიან.

როგორც ცნობილია, გორის „დილამ“ გაისად „ა“ კლასის II ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს დიდი და დამსახურებული წარმატებაა და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ქალაქში ყოველმხრივ უწყობენ ხელს კოლექტივის წარმატებას, იმედია, „დილა“ შეინარჩუნებს და განამტკიცებს ამ მიღწევას.

მომდევნო ადგილებზე მყოფი საქართველოს გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისა არიან. მათგან გამოვყოფთ ლანჩხუთის „გურიას“ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. კაკაბაძე), მახარაძის „მერცხალს“ (მწვრთნელი მ. გორდელაძე), რუსთავის „მეტალურგს“ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კოტრიკაძე). აქ არიან პერსპექტიული, მზარდი ფეხბურთელები.

კარგი მომავლის მოთამაშეებს ვხვდებით, აგრეთვე, ფოთის „კოლხეთში“ (მწვრთნელი გ. ხოფერია), თელავის „კახეთში“ (მწვრთნელი გ. გომელაური).

ცალკე საუბრის თემად მიმაჩნია სოხუმის „დინამო“. სად, თუ არა აქ, უნდა შეიქმნას ძლიერი, მაღალი კლასის გუნდი? თვით სოხუმშიც და მის მახლობლად მდებარე რაიონებში — ოჩამჩირეში, ვალში, გუდაუთაში, გულრიფშში, გაგრაში საკმარისზე მეტია ნიჭიერი, საუკეთესო მონაცემების მქონე ნორჩი ფეხბურთელები, რომელთა რიცხვიდან შეიძლება პირველხარისხოვან ოსტატთა აღზრდა. სოხუმელ მოთამაშეთა სახელი ადრე საქვეყნოდ იყო ცნობილი. მაგრამ, ეტყობა, იქ ახლა არავინაა დაინტერესებული არც ფეხბურთელთა აღზრდით, არც ძლიერი გუნდის შექმნით და ამიტომაა, რომ სოხუმის „დინამოს“ გათამაშების საბოლოო ცხრილში ყოვლად შეუფერებელი, XVIII ადგილი უკავია (20 გუნდს შორის). განა დასაშვებია, რომ სოხუმელებზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდეთ, ვთქვათ, ზაქათალის და სტეფანაკერტის გუნდებს? დინამოელთა მწვრთნელს გ. გრამატიკოპულოს არა აქვს საჭირო მხარდაჭერა ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრივ და ამიტომ წარსულში ერთ-ერთი წამყვანი საფეხბურთო ცენტრი ახლა აუტსაიდერის როლშია.

„ბ“ კლასის გუნდებში ჯერ კიდევ გადაუჭრელია დიდი ფეხბურთის შესაფერი კადრების აღზრდის საკითხი. შეუძლებელია, რომ მოთამაშეთა ასეთ მასაში არ იყოს თუნდაც ერთეულები მაღალი კლასის გუნდებისთვის, მაგრამ ეტყობა, მწვრთნელები მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს ოსტატთა აღზრდისთვის. მაინც, გამოვყოფთ საუკეთესო ფეხბურთელებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს განვლილ თამაშებში. ესენი არიან: ბურჯანაძე, სტეფანია, კობიაშვილი, კაპანაძე („დილა“), ხინჯიკაშვილი, კონიაშვილი, ფედიაევი (რუსთავის „მეტალურგი“), ჩხარტიშვილი, ძიძიგური („გურია“), კაკალაძე, თურმანიძე, გაგუა („მერცხალი“), ძმები ცირეკიძეები, ქელეხიძე („კახეთი“), ეშუხბაია, გადელია, დელბა (სოხუმის „დინამო“), ფილია, ჯაიანი („კოლხეთი“), ქობულია (ქობულეთის „შუქურა“) და სხვ.

აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია აღვნიშნოთ წესრიგის ხშირი დარღვევა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მატჩი ჩაიშალა იმის გამო, რომ გუნდებმა თვითნებურად დატოვეს მინდორი. დისციპლინას სისტემატურად არღვევენ გურჯაანის, ცხინვალის, ზუგდიდის გუნდებში. არის ერთგვარი „შავი სია“, სადაც ვხვდებით კობიაშვილს, გელდიაშვილს („დილა“), ძიძიგურს („გურია“), დანელიას (რუსთავის „მეტალურგი“), ხახანოვს (ცხინვალის „სპარტაკი“), ნემსაძეს („მერცხალი“), აბრალავას (ზუგდიდის „ენგური“), კობახიძეს („კახეთი“)... მსაჯებს მეტი პრინციპულობის გამოჩენა მართებთ წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისას. საერთოდ, მსაჯობის საქმე „ბ“ კლასში ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა, რომლებიც „ბ“ კლასში გამოდიან, მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ, მეტი იზრუნონ საერთო კლასის ამაღლებისთვის, ხოლო მწვრთნელებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მთავარი საზრუნავია მაღალი კვალიფიკაციის ოსტატთა აღზრდა ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის.

ნ. ჩხატარაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

[illegible]

◆ ბათუმი

დამთავრდა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირველობა ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდა ფიზკულტურული კოლექტივების 8 გუნდი. ფინალში გავიდნენ ბათუმის ელექტროხელსაწყოების ქარხნისა და ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვის ჩაის ფაბრიკის გუნდები. ბათუმელებმა მატჩის დამატებით დროში გაიტანეს ერთადერთი ბურთი, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა.

გ. ომანიძე.

◆ ზესტაფონი

საინტერესოდ მიმდინარეობდა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა რაიონული გათამაშება ფეხბურთში. 17 გუნდს შორის უძლიერესი აღმოჩნდა სოფ. ცხრაწყაროს კოლმეურნეობის კოლექტივი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სოფ. პირველი სვირის სანერგე საბჭოთა მეურნეობისა და სოფ. ილმის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდები.

ა. ბანუგრავა.

◆ ყაზბეგი

რაიონის ფეხბურთელთა პირველობაში გამარჯვება წილად ხვდა ელქსელების „ენერგეტიკს“, ხოლო გაზეთ „დარიალის“ გარდამავალი თასი მოიპოვა ყაზბეგის „თერგმა“.

ი. ლუდუშაური.

საწარმოო ტანვარჯიში — მასებს!

ამას წინათ აჭარის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ იმსჯელეს აჭარაში საწარმოო ტანვარჯიშის განვითარების საკითხზე და სათანადო დადგენილებაც მიიღეს.

პროფკავშირულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, — ნათქვამია დადგენილებაში, — გარკვეული მუშაობა გასწიეს საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისთვის. მშრომელთა გაჯანსაღების საქმე კარგად არის დაყენებული ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ და მექანიკურ ქარხნებში, სამკერვალო ფაბრიკაში, ელექტროხელსაწყოების ქარხანაში. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი საწარმო-დაწესებულებები, სადაც საწარმოო ტანვარჯიშს ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა. მაგალითად დასახელებულია მანქანათსაშენი ქარხანა, ცენტრალური ნავთობგადასატვირთი ბაზა, საზღვაო ნავსადგური, სალოკომოტივო დეპო, ხორცკომბინატი, ციტრუსკომბინატი, თამბაქოს ფაბრიკა, ღვინისა და ლუდის, ხილეულის წყლების ქარხნები.

აღნიშნულია ისიც, რომ აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ტანვარჯიში საერთოდ ჩაშლილია.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

[illegible]

◆ თელავი

რაიონის ფეხბურთელთა 12 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი თასის გათამაშებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თელავის ხორცკომბინატისა და სპორტსკოლის წარმომადგენლები. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს ხორცკომბინატის ფეხბურთელებმა.

ს. ოხანაშვილი.

მატჩი შედგება ყოველგვარ ამინდში

ფანტასტიკური რეპორტაჟი

თბილისელ ფეხბურთელთა გუნდი „ჟურნალისტი“ იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ერთ კვირას ელოდა ფილიპინებში ჩასვლის ვიზას (მოგეხსენებათ, ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობა არა გვაქვს) და საქმეს საშველი რომ არ დაადგა, საჰაერო ლაინერით „ჟურნალისტი“ უკან გამოფრინდა. მოგეხსენებათ დეკემბრის თვის კაპრიზი — უამინდობა, და თვითმფრინავი არც მოსკოვმა მიიღო, არც კიევმა და არც თბილისმა.

— დაეშვებით გურჯაანის აეროდრომზე, — იუწყებოდა დედამიწიდან მოსული რადიოცნობა.

როგორც კი კახეთის ცაზე ჩვენი თვითმფრინავი გამოჩნდა, ჟურნალისტ ფეხბურთელთა საპატივცემულოდ ქალაქის აეროდრომიდან „გურჯაანი-3“ ჰაერში ნაირფერი შუშხუნები აიჭრა და ჩვენი ლაინერი ამაყად დაჯდა კახეთის მიწაზე.

ფრენის დროს რატომღაც ფერდაკარგულმა გუნდის წევრმა, მხატვარმა გიგლა ფირცხალავამ, რომელიც ჩემს გვერდით რბილ სავარძელში იჯდა, შვებით ამოისუნთქა, სახე გაებადრა, [illegible] გადაჰკრა და გამანდო:

— მართალი გითხრა, ძალიან მაშინებდა თვითმფრინავით მგზავრობა. სწორედ დეკემბერში იყო, ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი“ საჰაერო კატასტროფაში რომ მოჰყვა. თუმცა კი მქონდა გადარჩენის იმედი. ხომ გახსოვთ, მაშინ ცნობილი ფეხბურთელებიდან მხოლოდ ნახევარმცველი ბობი ჩარლტონი გადარჩა და მეც ხომ მასავით ნახევარდაცვაში ვთამაშობ.

გიგლასთან საუბრის გაგრძელება უკვე უაზრობა იყო, რადგან მასპინძლები ჟივილ-ხივილით გვიხმობდნენ გურჯაანის მადლიან მიწაზე. მალე ფეხბურთის მოყვარულ გურჯაანელთა გარემოცვაში აღმოვჩნდით და მათაც შეკითხვები სეტყვასავით დაგვაყარეს.

— როგორ დაამარცხეთ გაზეთ „იზვესტიას“ გუნდი შინ და სტუმრად?

— ვინ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი კიევში?

— ქუთაისში თამაში სჯობდა თუ ბანკეტი?

— ჩვენს ვეტერან ფეხბურთელთა გუნდს „ვაზს“ ხომ არ შეხვდებით?

თბილისელმა ფეხბურთელებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ცას ახედეს.

... ლონდონური ამინდი იდგა გურჯაანში. ნისლის საბურველში იყო გახვეული ქალაქი. თანაც, შეუწყვეტლივ წვიმდა და არც ისე სასიამოვნო იყო ასეთ ამინდში თამაში. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ სპორტული ჟინის ძალა! ამას დაუმატეთ ფეხბურთში დაკანონებული წესი: მატჩი შედგება ყოველგვარ ამინდში. წინათ ეს სიტყვები საკავშირო პირველობის შეხვედრების მაუწყებელ აფიშებზეც კი იყო მიწერილი. ახლა ქვეყანა რომ იქცეოდეს, თამაში მაინც ტარდება.

სტუმრები დაიყოლიეს. მაგრამ მსაჯის თაობაზე ატყდა კამათი. მასპინძლები გვთავაზობდნენ ძველი გურჯაანელი სპორტსმენის ილია შამიაშვილის კანდიდატურას, თბილისელები უარზე იყვნენ. ხომ იცით, ადგილობრივ მსაჯს რა დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია თანაქალაქელთა გუნდისთვის. იტალიაში, ინგლისში დარეკეს მსაჯის მოვლინების თაობაზე, მაგრამ ორივე ქვეყნიდან ზუსტად ერთნაირი პასუხი მოვიდა:

— მსოფლიოს გამოჩენილი მსაჯები იტალიის „მილანისა“ და ჰოლანდიის „აიაქსის“ დღევანდელ ფინალურ მატჩზე არიან მიწვეულნი მადრიდში და უარის თქმის მეტი არაფერი დაგვრჩენიაო.

უხერხული იყო მასპინძლების გაწბილება. თანაც შევატყვეთ, რომ მატჩის შემდეგ გვარიანი ბანკეტიც უნდა გაემართათ.

ი. შამიაშვილის სასტვენის ხმაზე „ჟურნალისტისა“ და „ვაზის“ გუნდები მინდორზე გამოვიდნენ. გრუნტს წვიმის გარდა შეხვედრის მონაწილეთა ზემძიმობაც ამძიმებდა. მიუხედავად ამისა, მატჩი მაღალ ტემპში დაიწყო. მართალია, მასპინძლები ყოველმხრივ ცდილობდნენ (დიდი მუცლებით, კართან მთელი გუნდის 90 პროცენტის თავმოყრით) თბილისელთათვის გოლის გატანის საშუალება არ მიეცათ, მაგრამ სპეციალისტების აზრი: ყველაზე კარგი დაცვა მეტოქეზე თავდასხმაა, გამართლდა. გურჯაანელებს მასირებულმა დაცვამ ვერ უშველა და ზ. რცხილაძის ძლიერად დარტყმულმა ბურთმა გადაკვეთა კარის ხაზი.

მალე ამას გაზეთ „თბილისის“ თანამშრომლის ტ. ვასაძის მეორე ბურთი მოჰყვა, მაგრამ მაშინვე „ვაზმა“ გაქვითა ერთი ბურთი. მერე „ჟურნალისტი“ კიდევ უფრო დაწინაურდა — 3:1. თამაშის დამთავრებას წუთები აკლდა, რომ კ. ჩეკურიშვილის ყუმბარისებურად დარტყმული ბურთი ბარე 5 წუთი მიგორავდა სტუმართა კარისკენ და მე-6 წუთზე შეარხია კარის სველი ბადე.

3:2. ამ ანგარიშით დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა. მატჩის შემდეგ ერთ-ერთმა მაყურებელმა სამართლიანად შენიშნა.

— არც „ჟურნალისტს“ გაუმარჯვია, არც „ვაზი“ დამარცხებულა. გაიმარჯვა მეგობრობამ.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ფეხბურთელები დაუხმარებლად წავიდნენ გასახდელში. ესაა, რომ იქ მაშინვე დადგა ვალიდოლისა და კორდიამინის სურნელება.

მატჩის მონაწილეები მაშინ გამოცოცხლდნენ, პირველი სიტყვა რომ აიღო სადღესასწაულო ბანკეტის თამადამ...

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გურჯაანი.

• • •

ამ სურათს კომენტარი არ სჭირდება. თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ო. გაგუამ ეს-ეს არის ნოკაუტში „გაგზავნა“ მეტოქეთა მეკარე და მარცხენა გარემარბ ზ. რცხილაძეს ისღა დარჩენია ბურთიანად შევიდეს „ვაზის“ ცარიელ კარში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი მხრიდან

„ბონბონიერიდან“... ციხეში. შემდეგ?

ბუენოს-აირესის ერთ-ერთ სტადიონს „ბონბონიერი“ ჰქვია თავისებური არქიტექტურის გამო. მაგრამ ეს რამდენიმე ხანია მას სახელი შეუცვალეს. ზოგიერთი უცხოელი მიმომხილველი გესლიანად შენიშნავს, რომ „ბონბონიერი“ თავისებურ „პანდორას ყუთად“ იქცა.

სწორედ ამ სტადიონზე ჩატარდა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ცნობილი მატჩი არგენტინის „ესტუდიანტესსა“ და იტალიის „მილანს“ შორის, რომლის შედეგიც ყველასთვის ცნობილია. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მეორე შედეგი გვაქვს მხედველობაში. სამი არგენტინელი ფეხბურთელი მატჩის შემდეგ პირდაპირ ციხეში მოხვდა თითო თვით. ბრალდება ასეთი იყო: „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ფეხბურთის მინდორზე, მეტოქეთა დასახიჩრება, მთავარ არბიტრზე და გვერდით მსაჯებზე თავდასხმა...“

არგენტინის ფეხბურთის ხელმძღვანელობამ თავადაც მიიღო ზომები. ერთ-ერთ ხულიგანს—მეკარე პოლეტის დისკვალიფიკაცია მიეცა სამუდამოდ, მეორეს — მცველ აგუირე სუარესს — ხუთი წლით, მესამეს—ნახევარმცველ მადეროს — სამი წლით.

ეს თითქოს სამართლიანობის ზეიმი იყო, მაგრამ ისტორია ამით არ დამთავრებულა. დისკვალიფიცირებული ფეხბურთელებით რამდენიმე საზღვარგარეთული კლუბი დაინტერესდა. ინტერესის მიზეზი შეიძლება ხერხები იყო, რითაც ეს სამეული მეტოქეებს უმასპინძლდებოდა ან იქნებ ის ამბავი, რომ გაკიცხული ფეხბურთელების მიღება მათ უფასოდ შეეძლოთ. შეიძლება ორივე მიზეზს ჰქონდა მნიშვნელობა. ასეა თუ ისე, უცხოეთის პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ ესპანეთის ერთმა სახელგანთქმულმა კლუბმა არგენტინის ასოციაციას ოფიციალურად ჰკითხა: ამ სამი სპორტსმენის დისკვალიფიკაცია საზღვარგარეთაც ძალაში რჩება თუ არაო? ცნობილია, რომ ზოგიერთი „საფეხბურთო იურისტის“ (დასავლეთში არსებობს ასეთი კატეგორია) აზრით, ამ შემთხვევაში დისკვალიფიკაცია უნდა მოიხსნას.

თუ ასოციაცია „იურისტების“ შეხედულებას დაეთანხმა, არგენტინელი დამნაშავენი თავიანთ „ნაყოფიერ“ კარიერას უცხოეთში გააგრძელებენ. ესეც შენი სამართლიანობის ზეიმი!

მართლმსაჯულების დახმარება

პროფესიულ ფეხბურთში, რაოდენ ფართოდ რეკლამირებულიც უნდა იყოს ეს, არბიტრებისა და ასოციაციის გადაწყვეტილებაც კი ყოველთვის საბოლოო როდია. ზოგჯერ იერიში მიაქვთ თვით მართლმსაჯულების ქალღმერთზე — თემიდაზე. ამ მხრივ, თუ შეიძლება ითქვას, ტონს ინგლისი იძლევა.

ცალკეულმა კლუბებმა და ფეხბურთელებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან სხვადასხვა დანაშაულის გამო მათს მიმართ მიღებული ზომებით, ბრიტანეთის მმართველი ორგანოების წინაშე დააყენეს საკითხი, რომ მსგავსი სანქციები სასამართლოს წესით იქნეს განხილული. კერძოდ, ფეხბურთელების პროფკავშირი იმის მომხრეა, რომ მოთამაშეებმა იურიდიული დახმარება მიიღონ მას შემდეგ, რაც მათს საქციელს სპორტულ-ტექნიკური კომისია განიხილავს.

პროფკავშირის წარმომადგენელმა კ. ლოიდმა ასე დაასაბუთა თავისი აზრი: „ამას წინათ მთელი რიგი ფეხბურთელების მიმართ სასტიკი გადაწყვეტილება მიიღეს. ამ ფეხბურთელებს სათანადო იურიდიული ცოდნა არ ჰქონდათ და თავი ვერ დაიცვეს. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ მოგვეცეს ისეთი ვექილების მოწვევის უფლება, რომლებიც ფეხბურთის საკითხებშიც იქნებიან გარკვეული. ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება, გავასაჩივროთ როგორც არბიტრთა, ისე კომისიის გადაწყვეტილებები“.

სპორტულ-ტექნიკური კომისიის პასუხი ასეთია: თუ სასამართლო ორგანოები ფეხბურთელების მოთხოვნას დააკმაყოფილებენ, კომისიაც იურისტებს სთხოვს თავისი ინტერესების დაცვას.

რა აზრისა იქნება თემიდა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

სენიორ პერგოლიზის სარჩელი

იტალიის სტადიონებზე ინციდენტები ისე გახშირდა, რომ უკვე აღარავის უკვირს. მაგრამ ზოგჯერ ამ ამბებს უაღრესად საინტერესო გაგრძელება აქვთ ხოლმე.

ამ ქვეყანაში კანონად იქცა (სხვა გამოსავალი არ იყო), რომ სტადიონებზე, სადაც მაყურებლები და ფეხბურთელები წესრიგს არღვევენ, რაიმე გარკვეული პერიოდით ჩემპიონატის კალენდარული მატჩების ჩატარება იკრძალება.

გასაგებია, რომ ეს სასჯელი დიდ ზარალს აყენებს მასპინძელ კლუბსაც და სტადიონის მეიჯარესაც. აღარას ვამბობთ იმ ამბავზე, რომ გუნდმა მორიგი მატჩები უკვე სხვა ქალაქში უნდა ჩაატაროს.

ამას, რასაკვირველია, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა სენიორ ჯ. პერგოლიზი — უმაღლესი ლიგის კლუბის „პალერმოს“ პრეზიდენტი, რომელმაც ვინმე ფრაჟიგლიოს წინააღმდეგ სასამართლოში 80 მილიონ ლირაზე (!) აღძრა სარჩელი. როგორც ცნობილი გახდა, ეს თავშეუკავებელი ტიფოზი ერთ-ერთი მატჩის დროს სათამაშო მინდორზე გაიჭრა და სახეში შეაფურთხა გვერდით მსაჯს, რომელმაც „უდროო დროს დაიქნია ალამი“. ამ ამბის გამო „პალერმოს“ სტადიონს სამი კვირით დისკვალიფიკაცია მიეცა.

თავად ფრაჟიგლიოს სამი დღით პატიმრობა და ათასი ლირა ჯარიმა მიუსაჯეს, კლუბმა კი 80 მილიონი იზარალა. აი, ამ ფულს სთხოვს პერგოლიზი ფრაჟიგლიოს.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ილუზიებით არ ვცხოვრობთ და გვესმის, რომ ამდენ ფულს ვერ მივიღებთ, — განაცხადა „პალერმოს“ პრეზიდენტმა. — მაგრამ გვინდა ეს გაკვეთილი გახდეს ხულიგნებისთვის, რათა სხვები მაინც შეშინდნენ.

მძლეოსნურ ბილიკებზე

მელბურნი. ავსტრალიელ მძლეოსან ქალთა აქ გამართულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა რ. ბოილმა, რომელმაც მოიგო 100 (11,4) და 200 მეტრზე (23,4) რბენა. პ. კილბორნი პირველი იყო 100 მეტრზე თარჯრბენში — 13,3.

ნიუ-იორკი. 5000 მეტრზე რბენაში აშშ-ს რეკორდსმენმა ჯ. ლინგრენმა ქვეყნის უნივერსიტეტების მძლეოსანთა 10-კილომეტრიან კროსში შესანიშნავი შედეგი (28:59,2) აჩვენა. მან უკან ჩამოიტოვა 250-ზე მეტი მეტოქე.

კოსფორდი. ამ ქალაქის დარბაზში მ. ბილჰემმა 600 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი მიღწევა დაამყარა — 1.18,5. ეს 0,5 წამით სჯობს ვ. შმიდტის (გფრ) ძველ მიღწევას.

ბოლტონი. საინტერესო ფაქტი მოხდა მარათონელთა აქ გამართულ შეჯიბრებაში. 15 და 25 კილომეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენი რ. ჰილი, 30-კილომეტრიან დისტანციაზე ცდილა ძალას და კიდევაც გაიმარჯვა — 1:32.32,2. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდს 6,8 წამით ჩამორჩება, მაგრამ, როგორც შეჯიბრების შემდეგ გამოირკვა, ჰილს ზედმეტი ურბენია... 400 მ. ეს რომ არა, ჰილი ამ დისტანციაზეც მსოფლიო რეკორდსმენი გახდებოდა.

20^{45}

◆ **ჰაიდარაბადი, 16 დეკემბერი.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა ადგილობრივი გუნდი. ეს სტუმრების მეოთხე მატჩია ინდოეთში და — მეოთხე გამარჯვება.

◆ **ლიუბლიანა, 16 დეკემბერი.** კალათბურთელ ვაჟთა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გადამწყვეტი შეხვედრების სავარაუდო კალენდარი გამოაცხადეს. თუ ჯგუფებში თამაშებმა უსენსაციოდ ჩაიარა, ფინალი გაიხსნება მატჩით იუგოსლავია — იტალია, ხოლო ტურნირის ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდებიან წინა ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის პრიზიორები — სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები.

◆ **ბუქარესტი, 16 დეკემბერი.** რუმინეთის სპორტის ისტორიაში პირველად წელიწადის საუკეთესო სპორტსმენის წოდება ჩოგბურთელს ხვდა წილად. ეს არის ი. ნასტასე, რომელიც წლეულს წარმატებით გამოვიდა კოლუმბიის, ინდოეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კორტებზე. რუმინეთის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ჯ. ბერჩანუ, ევროპის ჩემპიონი კრივში კ. ჩუკა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში მარია ალექსანდრუ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ფარიკაობაში ილიანა დრიმბა.

◆ **ულან-ბატორი, 16 დეკემბერი.** მონღოლეთში დაიწყო სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება. ბევრი ულანბატორელი დაესწრო ზამთრის ახალი სეზონის გახსნის დღესასწაულს. 100-ზე მეტი საუკეთესო მოთხილამურე მონაწილეობდა ესტაფეტებში 3×3 და 4×3 კმ. ახლა მონღოლეთში 500-ზე მეტი სათხილამურო და საციგურაო წრე და სექცია მუშაობს, რომლებიც 7 ათასამდე მომეცადინეს აერთიანებენ.

◆ **ტულა, 16 დეკემბერი.** სახელმწიფო საატესტაციო კომისიამ ხარისხის ნიშანი მიაკუთვნა ტულის სპორტულ-სამონადირეო იარაღის ოთხ სახეობას, მათ შორის, პისტოლეტ „ტოზ-35“-ს, რომელიც შესანიშნავი ტექნიკური ღირსებებით გამოირჩევა. ამ პისტოლეტით საბჭოთა მსროლელებს სარეკორდო მიღწევები აქვთ ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ასეთი მაღალი შეფასების მქონე იარაღებს უშვებს ცნობილი ტულის საიარაღო ქარხანა, რომელიც არსებობის 250-ზე მეტ წელს ითვლის. ახლა ტულის სპორტულ-სამონადირეო იარაღს მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში ყიდულობენ.

პიკასოს ახალი გატაცება

... სტუმრები სმოკინგებსა და საღამოს კოსტუმებში გამოწყობილნი გამოცხადდნენ, პაბლო პიკასოს კი კიმონო ეცვა. სახელგანთქმულმა მხატვარმა თავისი ახალი კერამიკული და სკულპტურული ნამუშევრების გამოფენა გახსნა ქალაქ ვალიორიში — საფრანგეთის რივიერაზე.

პიკასოს სტუმრების განცვიფრება არ ჰქონია მიზნად. უბრალოდ, კიმონო მისი ახალი გატაცების სიმბოლოდ იქცა: 88 წლის კაცმა თავდავიწყებით შეიყვარა ძიუდო და ახლა მთელ თავისუფალ დროს სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში ვარჯიშს ანდომებს. მისი მიზანია მოიპოვოს შავი სარტყელი — უმაღლესი ჯილდო ძიუდოში.

ჟურნალ „კვიკიდან“ გადმობეჭდილ ამ სურათზე აღბეჭდილია პაბლო პიკასო ერთ-ერთი მორიგი საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ.

ახალი ამბები

● **კიევი, 15 დეკემბერი.** აქ გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. დღეს რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-სა და ბელორუსიის, სომხეთისა და უზბეკეთის მოკრივეები. პირველ მატჩში იოლად გაიმარჯვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა—9:2. უფრო დაძაბული გამოდგა მეორე შეხვედრა. გამარჯვება სომხეთის წარმომადგენლებს ხვდათ წილად — 7:4.

● **კამერდალი** (შვეცია), 15 დეკემბერი. 30 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონმა, იტალიელმა ფ. ნონესმა საკმაოდ ხანგრძლივი უხეირო გამოსვლების შემდეგ კვლავ გამოიჩინა თავი: აქ გამართულ 18-კილომეტრიან რბოლაში მეორე შედეგი აჩვენა (1:11.08). გაიმარჯვა ნორვეგიელმა მ. ლუნდემუმ — 1:10.19. III ადგილზეა შვედი ბ. ანდერსონი — 1:11.19.

● **ბაღდადი, 15 დეკემბერი.** ბაქოს „ნეფტჩის“ ფეხბურთელთა გუნდი ერაყში მეორედ შეხვდა ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის სამმართველოს ნაკრებს. მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2.

● **რომი,** 15 დეკემბერი. სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის (გაიმართება გაისად — 7-15 თებერვალს დოლომიტის ალპებში — ვალ-გარდენში) ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 27 სახელმწიფოს სპორტსმენებმა გამოთქვეს.

...მოკრივის როლისთვის

ფრანგული კინოს ცნობილი ვარსკვლავი ჟან მარე ამ ცოტა ხნის წინათ გამოტყდა გაზეთ „ლე მონდის“ ფურცლებზე: „მე უკვე იმ ასაკს მივაღწიე, როცა სპორტსმენთა უმრავლესობა ტოვებს სარბიელს. მაგრამ თავს მოხუცად ჯერ არ ვგრძნობ. ბევრი როლი, რომელიც კინოეკრანზე განვასახიერე, კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნას მოითხოვდა ჩემგან და მეც მუდამ მზად ვიყავი. ამას კი ვაღწევდი სპორტში აქტიური ვარჯიშის წყალობით.

უნდა გავამჟღავნო ერთი სინანული: ჩემთვის ჯერ არ შემოუთავაზებიათ სპორტსმენის რაიმე გამოკვეთილი როლი. მზად ვარ თითქმის ნებისმიერი სახეობის სპორტსმენის, განსაკუთრებით კი მოკრივის როლის შესრულებისთვის“.



სურათზე: ჟან მარე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასვენების დღე — კვირა, 1970 წლის 4 იანვარი გადმოტანილია პარასკევს, 2 იანვარს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 შ 11547